თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

კითხვარი

აკადემიური პერსონალის განვითარების თვითშეფასებისათვის

თარიღი ---------- *დეპარტამენტი* ----------

აკადემიური თანამდებობა ----------

სახელი, გვარი (თქვენი სურვილის შემთხვევაში!) ----------

პატივცემულო კოლეგავ,

გთხოვთ, თქვენი აკადემიური (სასწავლო, კვლევითი) აქტივობის სხვადასხვა ასპექტში თქვენი ძლიერი, სუსტი, განსამტკიცებელი, განსავითარებელი, შესაცვლელი და/ან სხვ. მხარეების თვითშეფასებისათვის მონიშნოთ შესაბამისი პასუხი ქვემოთ მოყვანილ შეკითხვებზე. აქვე მოგახსენებთ, რომ პასუხებისათვის შემოთავაზებული ხარისხობრივი გრადაცია ამგვარია: ***1 = ძლიერი ვარ აქტივობის ამ ნაწილში;***

2 = აქტივობის ეს ნაწილი საჭიროებს ყურადღებას, მაგრამ ჩემთვის არაპრიორიტეტულია;

3 = აქტივობის ეს ნაწილი საჭიროებს განვითარებას, რაც თავად შემიძლია;

4 = აქტივობის ამ ნაწილში მჭირდება კოლეგის (ან სხვ.) დახმარება.

მადლობას მოგახსენებთ თანამშრომლობისათვის.

	ცოდნა და ცოდნის გადაცემა	1	2	3	4
1.	ჩემი ცოდნა (სასწავლო კურსის /დისციპლინის /საგნის) შეესაბამება თანამედროვე დარგობრივ სტანდარტს				
2.	ჩართული ვარ სილაბუსის (მისი ყველა კომპონენტის) შემუშავებაში				
3.	ჩართული ვარ სასწავლო ლიტერატურის შერჩევასა და განვითარებაში				
4.	საფუძვლიანად ვგეგმავ ჩემს ლექციას/მეცადინეობას, პრეზენტაციას, დისკუსიას და სხვ. სასწავლო აქტივობას				
5.	სტუდენტებს სასწავლო კურსის დასაწყისშივე ვაცნობ სილაბუსის ყველა კომპონენტს				
6.	სასწავლო მასალას სტუდენტს გადავცემ სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად				
7.	სტუდენტებს ლექციის/მეცადინეობის დასაწყისშივე ვუმახვილებ ყურადღებას მოცემული თემის საკვანძო საკითხებზე				
8.	სტუდენტს მასალას გადავცემ მისი აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად				
9.	სტუდენტს მასალას გადავცემ მისი მომავალი პროფესიული საქმიანობის კონტექსტში				
10.	ვცდილობ, სტუდენტს განვუვითარო დამოუკიდებელი მუშაობის უნარი				
11.	ვცდილობ, სტუდენტს განვუვითარო გადაწყვეტილების მიღების უნარი				
12.	მეცადინეობის დასრულებისას ვაფასებ სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნის/ინფორმაციის ხარისხის				
13.	ვიყენებ სწავლების ისეთ სტრატეგიას, რომელიც ამაღლებს სტუდენტთა თვითშეფასებას, კომპეტენტურობასა და თემის გაგების უნარს				

14.	მხარს ვუჭერ სტუდენტთა აქტიურ სწავლებას (ურთიერთშეფასება, დავალებაზე ერთობლივი მუშაობა, “სწავლა სწავლებით”, სხვ.)				
15.	მეცადინეობაზე დისკუსია აქტიური და მიზნობრივია				
16.	ვცდილობ, ცალკეულ ფაკულტეტზე/ჯგუფში გამოვიყენო პროგრამის შედეგის მიღწევაზე ორიენტირებული მეთოდები				
17.	ლექციაზე/მეცადინეობაზე ვიყენებ ილუსტრაციის ადეკვატურ მეთოდებს				
18.	ლექციაზე/მეცადინეობაზე ვიცავ “ვერტიკალური” და “ჰორიზონტალური” თემატური ინტეგრაციის პრინციპს (ანუ, თემატურ კოორდინაციას მომიჯნავე, პრერეკვიზიტულ და მემკვიდრე სასწავლო კურსებს შორის)				
19.	ვცდილობ ლექციაზე/მეცადინეობაზე გავითვალისწინო სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებანი				
20.	მეცადინეობაზე აქტიურად ვმუშაობ სტუდენტების მიერ შესაბამისი პრაქტიკულ უნარების ათვისებაზე				
21.	ვიყენებ ინტერაქტიური სწავლების ფორმებს და საშუალებებს				
22.	ლექციის/მეცადინეობის თემატიკაში აქტიურად ვრთავ კვლევის (მათ შორის – საკუთარი) შედეგებს				
23.	ვცდილობ, სტუდენტს გავუღვივო ინტერესი კვლევითი მუშაობისადმი				
24.	კვლევითი მუშაობით სტუდენტის დაინტერესების შემთხვევაში ვეხმარები მას ამ აქტივობის დაგეგმვასა და განვითარებაში				
25.	სხვა (სურვილის შემთხვევაში)				
26.	გავაანალიზე რა ჩემი პასუხები ამ ნაწილში, სურვილი მაქვს ვიმუშაო შემდეგ საკითხებზე:				

	ლექციის / მეცადინეობის მენეჯმენტი (ზოგადი)	1	2	3	4
27.	ლექცია/მეცადინეობა მიმდინარეობს ცხრილის/განრიგის სრული დაცვით				
28.	ლექციის/მეცადინეობის დროს აკადემიური მიზნის მისაღწევად ვიყენებ ეფექტურად				
29.	ვიცავ უნივერსიტეტის მისიით და სტრატეგიით განსაზღვრულ მიზნებს და პრინციპებს				
30.	ვიცავ უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსს				
31.	ლექციაზე/მეცადინეობაზე უზრუნველვყოფ თითოეული სტუდენტის/უმცროსი კოლეგის ღირსების, პატივისა და თავისუფლების დაცვას				
32.	ლექციაზე/მეცადინეობაზე ვქმნი და ვიცავ მშვიდ და დადებით გარემოს				
33.	სხვა (სურვილის შემთხვევაში)				
34.	გავაანალიზე რა ჩემი პასუხები ამ ნაწილში, სურვილი მაქვს ვიმუშაო შემდეგ საკითხებზე:				

	სტუდენტებთან ურთიერთობა	1	2	3	4
35.	ვიყენებ სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების გამჭვირვალე მეთოდებს				
36.	ვიყენებ სტუდენტის მიერ პრაქტიკული უნარების ათვისებისათვის ეფექტურ სწავლების მეთოდებს და საშუალებებს				
37.	სტუდენტი ინფორმაციას მის მიერ დავალების/ამოცანის შესრულების ან/და მისი ცოდნის შეფასების (კოლოკვიუმი, გამოცდა, სხვ.) შედეგების შესახებ იღებს დაუყოვნებლად				
38.	აქტიურად ვიღებ ინფორმაციას სტუდენტებისაგან ლექციის/მეცადინეობის ეფექტურობის შესახებ				
39.	სტუდენტების მოსაზრებებს ვაანალიზებ და ვითვალისწინებ მუშაობაში				
40.	ვცდილობ, ვაგრძნობინო სტუდენტებს, რომ ყოველთვის მზად ვარ მათთან აკადემიური თანამშრომლობისა და დახმარებისთვის				
41.	ვქმნი გარემოს და პირობებს იმისთვის, რომ სტუდენტმა იოლად დასვას შეკითხვა მისთვის პრობლემურ თემატურ საკითხებზე				
42.	ყველა სტუდენტს ვეპყრობი პატივისცემით				
43.	ყველა სტუდენტს ვეპყრობი სამართლიანად				
44.	სხვა (სურვილის შემთხვევაში)				
45.	გავაანალიზე რა ჩემი პასუხები ამ ნაწილში, სურვილი მაქვს ვიმუშაო შემდეგ საკითხებზე:				

შენიშვნა, სურვილი ----------